



ბავშვებთან საუბარი
საშინაო დავალების შესახებ






საშინაო დავალება

სკოლაში ხანგრძლივი დღის შემდეგ, თქვენი 9 წლის ქალიშვილი მარიამი, დარწმუნებულია, რომ დაასრულებს საშინაო დავალებას. მცირე ხნის მცდელობის შემდეგ, იგი იმედგაცრუებულია, რადგან ვერ გაუმკლავდა საშინაო დავალების სირთულეს და დანებდა.


ვის ეცნობა მსგავსი სიტუაცია? საშინაო დავალების შესრულების პრობლემა ხშირია ბევრ ოჯახში. მშობლები მუდმივად ამხევევენ თავიანთ შვილებს საშინაო დავალების სათანადოდ შესასრულებლად. საშინაო დავალებები ითვლება მნიშვნელოვან სასწავლო შესაძლებლობად, რომლებზეც მოსწავლეებმა უარი არ უნდა თქვან. თუმცა მოსწავლეები ხშირად უარს ამბობენ სკოლის გარეთ დავალებების შესრულებაზე. ისინი ხშირად ვერ იაზრებენ მოცემულ დავალებებს, ხშირად არ აქვთ პასუხები. იმის გამო, რომ ხშირად მშობლები სამსახურებში არიან, ბავშვებს არ აქვთ შესაძლებლობა დახმარებისთვის მათ მიმართონ, მაშინ როდესაც მშობლებს, რომლებსაც სურთ თავიანთი შვილების დახმარება სწრაფად ხდებიან ე.წ. “მასწავლებლების ასისტენტები”. ამრიგად, ასეთი მშობლები ადვილად აკონტროლებენ შვილებს და მათ მიერ დავალებების შესრულების ხარისხს. როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები საშინაო დავალების შესრულების დასახმარებლად?

ამოირჩიეთ შესაძლო ვარიანტებიდან ერთ-ერთი რეაქცია და მიჰყევით შესაბამისს რჩევებს!



თუ შეიძლება კონცენტრირდი! თუ ზერს იზიოებ ჯიოიფი ყდეუ არ არსებობს სულიერი საცხები შენ შიოლო კიოიქსენე ფქრობ და სურვილიე ყი არ ვაქქს რომ დავალებქნი შესრულიო


გადადიოთ მუორე გვერდზე!



ქედე როვირ ვადდე მათემატიკის ქენი გვერდიო აღბათ ვერ კონცენტრირდი ხლიონ განარეზული ხარ შენი მათლი კიოიქსენის ქენის დიო მვირეხნიანი შესვენება ხომ არ გქირდება?

გადადიოთ მესამე გვერდზე!

თქვენ ბროშურის მეექვსე გვერდზე შეხვდებით ზოგად რჩევებს, იმის შესახებ, თუ როგორ გაუმკლავდეთ “საშინაო დავალების” პრობლემას



თუ თქვენ მსგავსი რეაქცია გაქვთ, როგორც მის დედას, ასეთ შემთხვევაში კონფლიქტი გარდაუვალია. მარიამს, რომელსაც არ სურს დავალების გაკეთება, დამატებით უწევს თქვენი საყვედურების მოსმენა. ის სრულ გაურკვევლობაშია, მაშინ როცა თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ მისი ნეგატიური დამოკიდებულებები. შესაძლებელია, რომ ეს კონფლიქტი აიცილოთ თუ არ შეეცდებით დაუპირისპირდეთ თქვენი შვილის რეაქციას. მიმართეთ “გულახდილ საუბარს”. მეტის გასაგებად “გულახდილი საუბრის” შესახებ გადაადით [მეოთხე გვერდზე](#).

როგორ დავიწყოთ კომუნიკაცია?

პირველი: აგრძნობინეთ თქვენს შვილს, რომ მისი გესმით და უსმენთ გულმოდგინედ. თავი შეიკავეთ მისი საუბრის მანერისა და მოქმედებების ინტერპრეტაციისგან. უკუკავშირი დაუბრუნეთ მხოლოდ იმის შესახებ, რაც მოისმინეთ ან დაინახეთ.

მეორე: უნდა შეეცადოთ და გულახდილად გაუზიაროთ თქვენი გრძნობები, ფიქრები და საჭიროებები, არ დაფაროთ ისინი.

მესამე: დიალოგსა და კომუნიკაციას დაუთმეთ შესაბამისი დრო, ამით თქვენს შვილს აგრძნობინებთ, რომ “ შენ ჩემთვის მნიშვნელოვანი ხარ. მე მაინტერესებს შენი ფიქრები, ემოციები, ცხოვრება”. ამგვარი დამოკიდებულება ხელს უწყობს, რომ თქვენი შვილი იყოს მეტად თავდაჯერებული.



ასეთი რეაქციით ცდილობთ, რომ გულახდილად წარმოაჩინოთ თქვენი შეხედულებები. გაცნობიერებული გაქვთ, რომ მარიამი არის დაბნეული, მაგრამ არ აკრიტიკებთ მის ამგვარ საქციელს. ამით ეხმარებით მარიამს, რომ არ იგრძნოს თავი უსიამოვნოდ და დაუფასებლად. მცირეხნიანი შესვნება შესაძლებელია, დაეხმაროს მას გაუჩინოს მოტივაცია და დაასრულოს დავალება, ან შესაძლებელია ერთად მოიფიქროთ სხვა შესაფერისი გამოსავალი.

მნიშვნელოვანია, რომ ორივემ შეინარჩუნოთ ერთმანეთთან პოზიტიური ურთიერთობა. ასე თქვენი შვილი დაფასებას და ურთიერთგაგებას იგრძნობს. ის თამამად გაგიზიარებთ გრძნობებსა და ფიქრებს, არ შეეშინდება თქვენი რეაქციისა და გაკიცხვის. გულახდილი საუბარი თქვენს შვილს ეხმარება, რომ გააძლიეროს და იპოვოს საკუთარი ძალა. ასეთი მიდგომით ის დრო და დრო საკუთარი საქციელის გაკრიტიკებასაც შეძლებს. ამგვარად, ის განთავისუფლდება იმაზე დარდით, თუ რას ფიქრობენ სხვები მასზე. ძლიერი პიროვნული თვისებები მნიშვნელოვანია, დემოკრატიული კულტურის ფუნქციონირებისთვის.

წაკითხეთ მეტი ღია კომუნიკაციის შესახებ [მეოთხე გვერდზე](#).

ღია კომუნიკაცია

კომუნიკაციის დამყარება მხოლოდ სიტყვებით არ ხდება. ჩვენ ასევე ვკონტაქტობთ არავერბალური სხეულის ენით (სახის გამომეტყველებები, პოზები, ჟესტები). მეტიც, ხმის ტემბრი გამოხატავს იმასაც, თუ რამდენად გაიგეს ჩვენი საუბარი.

ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად უნდა გავითვალისწინოთ ოთხი ძირითადი ასპექტი (ინფორმაცია, ურთიერთობა, მიმართვა, საკუთარი აზრის გამოთქმა).

დასკვნა: არ არის მარტივი გადმოსცე ზუსტად ისე, როგორც გინდა რომ იყოს გაგებულნი (ამ შემთხვევაში მარიამი), კიდევ უფრო ძნელია, მსმენელმა ზუსტად გაიგოს მთქმელის აზრი. ამის ნათელი მაგალითია მარიამის დედა, რომელსაც არ ესმის მისი შვილის.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გულახდილი კომუნიკაცია. ის გვეხმარება, რომ ჩვენი აზრები უფრო მკაფიო და გასაგები იყოს და თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა. ზოგჯერ თავად იმ ადამიანმაც, ვინც აზრს გადმოსცემს, არ იცის ამა თუ იმ ჟესტის მნიშვნელობა. მაგალითად, ბავშვები და ჩვილები, რომლებიც ვერ უმკლავდებიან საკუთარ გრძობებს, ხშირად ზუსტად ვერ გამოხატავენ თავიანთ გრძობებსა და სურვილებს, არასაკმარისი საკომუნიკაციო უნარების გამო. ამიტომ მშობლები და ზრდასრულები თავად ცდილობენ გაერკვნენ (მაგალითად: ბავშვი ავადა თუ შია? რაიმე აწუხებს, თუ უბრალოდ დაიღალა?). 9 წლის გოგონას სიტუაციის შემთხვევაში, არ იცის მან ზუსტად რა სჭირდება. ამრიგად, ეს თქვენი, როგორც მშობლის, გამოწვევაა, რომ გაუგოთ შვილს. უნდა დაითანხმოთ გულახდილ/ღია კომუნიკაციაზე და გაიგოთ მისი გაუმხელელი სურვილები.

როგორ უნდა გავხადოთ კომუნიკაცია ღია?

პირველი: აგრძობინეთ თქვენს შვილს, რომ მისი გესმით და უსმენთ გულმოდგინედ. თავი შეიკავეთ მისი საუბრის მანერისა და მოქმედებების ინტერპრეტაციისგან. უკუკავშირი დაუბრუნეთ მხოლოდ იმის შესახებ, რაც მოისმინეთ ან დაინახეთ.

მეორე: უნდა შეეცადოთ და გულახდილად გაუზიაროთ თქვენი გრძობები, ფიქრები და საჭიროებები, არ დაფაროთ ისინი.

მესამე: დიალოგსა და კომუნიკაციას დაუთმეთ შესაბამისი დრო, ამით თქვენს შვილს აგრძობინებთ, რომ “ შენ ჩემთვის მნიშვნელოვანი ხარ. მე მაინტერესებს შენი ფიქრები, ემოციები, ცხოვრება”. ამგვარი დამოკიდებულება ხელს უწყობს, რომ თქვენი შვილი იყოს მეტად თავდაჯერებული.

მეტი პრაქტიკული ინფორმაციისთვის ღია კომუნიკაციის შესახებ, გადაადით [მეხუთე გვერდზე](#).

ტრენინგი ღია კომუნიკაციის შესახებ

აქ შეხვდებით ყოველდღიურ, განსხვავებულ სიტუაციებს ბავშვებთან. თითოეულ მაგალითში, ორი განსხვავებული მშობლის რეაქციაა მოცემული. წარმოიდგინეთ, როგორ გაგრძელდებოდა ურთიერთობა მშობლების რეაქციიდან გამომდინარე, ჩამოწერეთ.

აღწერეთ ეს ურთიერთობა შემდეგი კითხვების დახმარებით: რომელი მშობლის რეაქცია დაგვხმარება ბავშვის მდგომარეობის უკეთ გააზრებაში? როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ბავშვი? ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, როგორ დაეხმარა მშობელი? რომელი მშობლის რეაქციას მივყავართ კონფლიქტამდე?

სადილობისას²

ოთხი წლის სამანტას არ უნდა რომ შეჭამოს. ის უბრალოდ თეფშზე კარტოფილებს გადაადგილებს.

<p>ა: “სამანტა, ნუ ქმნი დრამას! შეჭამე კარტოფილი, თუ არადა დაიძინებ ზღაპრის გარეშე!” დედა საუბრობს ხმამაღლა, თითის მინიშნებით.</p>	<p>ბ: “ვხედავ, რომ თეფშს დაჰყურებ და არ აპირებ საჭმლის ჭამას. შენ მოწყენილი ხარ, რომ არაფერი არ გინდა. ვფიქრობ, დაღლილი ხარ და არ გშია. მართალი ვარ?”</p>
<p>როგორ გაგრძელდება ეს ურთიერთობა?</p> <hr/> <hr/> <hr/>	<p>როგორ გაგრძელდება ეს ურთიერთობა?</p> <hr/> <hr/> <hr/>

დილით ადგომა³

10 წლის ოლივია საწოლში წევს და ამბობს: “მე არ შემიძლია დღეს სკოლაში წასვლა”. სამჯერ გაღვიძების შემდგომ, ის წუხს და ამბობს: “მართო დამტოვეთ! ნუ მაწუხებთ!”.

<p>ა: “შენ არაფერი გეტყობა, რომ ავად ხარ, ამიტომ ახლავე ადექი საწოლიდან! ჩვენ გვიწევს ხოლმე მუშაობა, როცა ეს სულაც არ გვსურს ხოლმე!”.</p>	<p>ბ: (წარმოიდგინეთ რეაქცია ღია კომუნიკაციის დროს: რას იტყოდა დედა?)</p> <hr/> <hr/>
<p>როგორ გაგრძელდება ეს ურთიერთობა?</p> <hr/> <hr/> <hr/>	<p>როგორ გაგრძელდება ეს ურთიერთობა?</p> <hr/> <hr/> <hr/>

კვების დროს

სტივი 14 წლისაა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში ის უარს ამბობს ისადილოს ოჯახთან ერთად და ამტკიცებს: “მე არ მშია!”. ახლა მამამისს სურს, რომ შეცვალოს მისი საქციელი.

<p>ა: “იქამდე, სანამ შენ ცხოვრობ ჩვენთან ერთად ჩვენს სახლში, ვალდებული ხარ დაემორჩილო ჩვენს წესებს. სწორედ ერთ-ერთი წესია, ჩვენი ერთად სადილობა. მოდი, შემოგვიერთდი და დაიკავე შენი ადგილი!”</p>	<p>ბ: (წარმოიდგინეთ რეაქცია ღია კომუნიკაციის დროს: რას იტყოდა მამა?)</p> <hr/> <hr/>
<p>როგორ გაგრძელდება ეს ურთიერთობა?</p> <hr/> <hr/> <hr/>	<p>როგორ გაგრძელდება ეს ურთიერთობა?</p> <hr/> <hr/> <hr/>

რჩევები სამინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად

პასუხისმგებლობის გადანაწილება! სამინაო დავალებაზე მუშაობა არის უშუალოდ მასწავლებლისა და მოსწავლის პასუხისმგებლობა. მშობლები ხშირად გადამეტებული პასუხისმგებლობისა და ბავშვების პროფესიულ მომავალზე ფიქრის გამო, ზეგავლენას ახდენენ შვილებზე დავალების შესრულების დროს. მოძალადეობრივად ნუ ჩაერევით შვილის დავალების შესრულების პროცესში, ეცადეთ ეს პასუხისმგებლობა გაუნაწილოთ თქვენს შვილს. ასეთი მიდგომით, მოსწავლე მეტად იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელებზე და ხდება ბევრად თავდაჯერებული. პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანია, რათა თქვენმა შვილმა მშვიდად იცხოვროს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

როდესაც სამინაო დავალებების შესრულებას დიდი დრო სჭირდება... ეს შესაძლებელია მოხდეს მრავალი მიზეზით. დავალება ზოგჯერ ბუნდოვანი და გაუგებარია მოსწავლისათვის. თუმცა ასეთ დროს ბავშვები ცდილობენ მშობელი დაიხმარონ, რადგან მიაჩნიათ, “როცა მე მაქვს პრობლემები, ჩემი მშობლები დამითმობენ დროსა და ყურადღებას”. ზოგჯერ, ბევრი მოსწავლე არის ზედმეტად გადატვირთული სამინაო დავალებების რაოდენობით, აქედან გამომდინარე, ისინი ვერ უმკლავდებიან და არიან იმედგაცრუებულები. გაარკვიეთ რატომ სჭირდება ამდენი დრო სამინაო დავალების მოსამზადებლად და ამის შემდგომ იმოქმედეთ ვითარების შესაბამისად.

მცირეხნიანი შესვენებები აუცილებელია! თუ ხშირად ხდება, რომ თქვენი შვილი იმედგაცრუებულია დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, ან აქვს რაოდენობრივად ბევრი, შესაძლებელია დაეხმაროთ და შესთავაზოთ სამუშაო განრიგის შედგენა. გადაჭარბებულად ნუ შეაფასებთ პატარების შესაძლებლობას და აუცილებლად გაითვალისწინეთ მცირეხნიანი შესვენებები.

სამინაო დავალება, როგორც უთანხმოების მიზეზი? მასწავლებლები თქვენ შვილებს ექვევანი თუ არა უსამართლოდ? რაიმე პრობლემა ხომ არ არის სკოლაში? თქვენი ბავშვი არის თუ არა რაიმე გაურკვევლობაში? სამინაო დავალების შესრულება/არ შესრულება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. დრო დაუთმეთ შვილების გრძნობების გაგებას, აღიქვით ისინი სერიოზულად. შეგიძლიათ ნახოთ სასარგებლო რჩევები “ღია კომუნიკაციის” შესახებ, [მეოთხე გვერდზე](#).

დაელაპარაკეთ თქვენი შვილის მასწავლებელს! თუ თვლით, რომ ზედმეტად ბევრი დრო სჭირდება ბავშვს სამინაო დავალების შესასრულებლად, ან არსებობს სხვა პრობლემა, დაუკავშირდით მასწავლებელს და გაარკვიეთ. ასე აიცილებთ კონფლიქტს სახლში.

“საუბარი ბავშვებთან სამინაო დავალების შესახებ” დაფუძნებულია შემდეგ ლიტერატურას:

¹ Heueck-Mauss, Doris. 2016. *So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen*. Hannover: Humboldt, 33 ff.

² Heueck-Mauss, Doris. 2016. *So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen*. Hannover: Humboldt, 32.

³ Heueck-Mauss, Doris. 2016. *So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen*. Hannover: Humboldt, 44.

Braun, Liselotte. 2017. “Knatsch bei den Hausaufgaben- das muss nicht sein.» *Das Schweizer Elternmagazin Fritz und Fränzi*, April, 18-19.

Council of Europe. 2016. *Competences For Democratic Culture. Living together as equals in culturally diverse democratic societies*. Strasbourg: Council of Europe Publishing, 41 f.

Heueck-Mauss, Doris. 2016. *So rede ich richtig mit meinem Kind: Wie Worte wirken: Konflikte fair lösen: Stressfreier erziehen*. Hannover: Humboldt, 25 ff.